სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ვიოლეტა ფორჩხიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	90	100

თარიღი: 17.09.2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო სასამართლოებში, აგრეთვე - თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ვიოლეტა ფორჩხიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, სააპელაციო სასამართლოებში, აგრეთვე - თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე (მათ შორის: 2-2 ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებში; 1-1 ვაკანტურ თანამდებობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში; 3-3 ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეთა, საგამოძიებო და წინასასამართლო კოლეგიებში) გამოცხადდა კონკურსი.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **ვიოლეტა ფორჩხიძე** (შემდგომში - „კანდიდატი“), თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებთან მიმართებით.

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „კანონის“ 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 5 სექტემბერს, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი (1999 წლიდან მოქმედი მოსამართლეა), შეავფასე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია „კანდიდატის” შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 57 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 31 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 25 წელზე მეტია (ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე).

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. . „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/ მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატს“ 15-ჯერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (ჯარიმების შეფარდებით) საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

„კანდიდატი“ მოსარჩელე მხარედ მონაწილეობდა ერთ დასრულებულ საქმეში (მოპასუხე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველო. დავის საგანი: საჯარიმო ქვითრის გაუქმება. შედეგი: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის დადგენილებით საჩივარი დაკმაყოფილდა).

„კანდიდატი“ არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე; მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 99.1% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 100% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; საანგარიშო პერიოდში (930 დღე) „კანდიდატმა“ დასრულა 2467 საქმის განხილვა.

2.1.7. „კანდიდატის“ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი 1 განაჩენი და 4 გადაწყვეტილება, რომელთა გაანალიზებით დგინდება, რომ „კანდიდატი“ ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, ასევე - ვლინდება გარკვეული ხარვეზები სასვენი ნიშნების გამოყენებისას, რაც, საბოლოო ჯამში, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას და სათანადოდ აღქმას გარკვეულწილად აძნელებს.

2.1.8. „კანდიდატმა“ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია“ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ გამართული ტრენინგი, თბილისი, 25-26 თებერვალი, 2023 წელი; სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა, კომპლექსი ლოპოტა, 28-30 ივნისი, 2023 წელი და სხვა. ამდენად, იგი საკმარისად ხშირად არ მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში.

„კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

2.1.9. „კანდიდატი“ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას 2013-2021 წლებში, მოწვეული სპეციალისტის სახით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში, კერძო სამართლის მიმართულებით.

„კანდიდატი“ 2016 წლიდან დღემდე არის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი კერძო სამართლის მიმართულებით; სადისერტაციო თემა: „იპოთეკა - საკუთრების უფლების შეზღუდვა“.

„კანდიდატს“ გამოქვეყნებული აქვს სტატიები თემებზე: „ხელოვნური განაყოფიერება და მხარეთა უფლებების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში“, აგრეთვე - „იპოთეკის ობიექტების სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები“.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატს“ „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, საქართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატი“ ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

2.2.3. „კანდიდატმა“ წარმოაჩინა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) კარგი ცოდნა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 5-ვე მახასიათებლის მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

3.2. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ შეფასების 3.1 პუნქტში აღნიშნულ პრეზუმფციას „კანდიდატის" 5-ვე მახასიათებლის მიხედვით კეთილსინდისიერად მიჩნევის შესახებ, დავასკვენი, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მახასიათებლებს (**„პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა"**; **„პიროვნული და პროფესიული ქცევა"**; **„პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია"**; **„ფინანსური ვალდებულება"**).

3.3. დასკვნა, რომ „კანდიდატი" კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, თავისთავად განაპირობებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საბოლოო დასკვნას: **„კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ამ შეფასების 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„სამართლის ნორმების ცოდნის"** მახასიათებლის მიხედვით, „კანდიდატს" მივანიჭე **17 ქულა**.

4.2. ამ შეფასების 2.1.7 და 2.2.2 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის"** მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" მივანიჭე **18 ქულა**.

4.3. ამ შეფასების 2.1.7 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„წერის უნარის"** მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" მივანიჭე **17 ქულა**.

4.4. ამ შეფასების 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„ზეპირი კომუნიკაციის უნარის"** მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" მივანიჭე **15 ქულა**.

4.5. ამ შეფასების 2.1.2-2.1.3 და 2.1.5-2.1.6 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“** მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე **15 ქულა.**

4.6. ამ შეფასების 2.1.8 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“** მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე **3 ქულა.**

4.7. ამ შეფასების 2.1.9 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„პროფესიული აქტივობის“** მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე **5 ქულა.**

4.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, „კანდიდატს“ მივანიჭე 90 ქულა (17+18+17+15+15+3+5).**